ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N134

CPV:55300000 - <u>რესტორნებისა და კვების საწარმოების მომსახურება</u>

ქ. თბილისი

10 ოქტომბერი, 2018 წელი

ერთი მხრივ, ა(ა)იპ ,,მუზეუმების გაერთიანება (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის - ნინო სანადირაძის სახით და მეორე მხრივ, შპს ,,თავადური", წარმოდგენილი დირექტორის თენგიზ ფიფიას სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ქ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია **ადგილობრივი ბიუჯეტის** ფარგლებში ა(ა)იპ ,,მუზეუმების გაერთიანების" მიერ დაგეგმილი ღონისძიების მე-2 საერთაშორისო კონფერენციის (,,სემიტოლოგიური ძიებანი") ფარგლებში მოწვეული სტუმრების ვახშმით უზრუნველყოფის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2.ხელშეკრულების ობიექტია დანართი N1-ით გათვალისწინებული მენიუს შესაბამისად ვახშმის უზრუნველყოფა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1.შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 2 669,52. (ორი ათას ექვსას სამოცდაცხრა ლარი და 52 თეთრი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯებისა და ყველა გადასახადის ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. მომსახურების გაწევის ადგილია ქ.თბილისი, მაიაკოვსკის ქ. N2/4, რესტორანი ,,თავადური", ხოლო მომსახურების გაწევის თარიღი **2018 წლის 15 ოქტომბერი, 19:00 საათი.**

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მომსახურება.

4.3. მომსახურების გაწევის პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ, სასაქონლო ანგარიშ-ფაქტურისა და ზედნადების წარმოდგენა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ გამოყოფილი უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია გენერალური დირექტორის მოადგილე **ირინე შენგელია.**

5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარში.

6.2. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების გაწევისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისიწინებული ყველა პირობა.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების

შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მოახდინოს ხელშეკრულების ინსპექტირება, რომლის მიზანია გაწეული მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

11.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებსამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2. პუნქტში მითითებული პირი.

11.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის, ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ, წერილობით ან/და ზეპირსიტყვიერად ხარვეზის მიზეზების მითითებითაცნობებს მიმწოდებელს.

11.4. გამოვლენილი დეფექტის, ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. სხვა პირობები

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს.

12.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

12.3. ნებისმიერი ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში, შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მხარეთა მიერ შედგენილი წერილობითი შეთანხმების ფორმით.

12.4. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12.5. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
ა(ა)იპ ,,მუზეუმების გაერთიანება"
მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. N103
ს.კ. 402036998
სახელმწიფო ხაზინა
კოდი:TRESGE22
ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022

გენერალური დირექტორი

ნინო სანადირაძე _____

მიმწოდებელი:
შპს ,,თავადური"
მისამართი: ქ. თბილისი, მაიაკოვსკის ქ. 2/4
ს/კ 202243802
ბანკი: საქართველოს ბანკი
ანგარიშის ნომერი: GE64BG0000000118542000
ტელ: 2 000 888; 2 000 999.

დირექტორი
თენგიზ ფიფია ----------

დანართი N1

N	დასახელება	პორცია	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	კიტრი პომიდორი ნიგვზით	7	11,00	77,00
2	ბერძნული სალათი	7	14,00	98,00
3	ფხალის ასორტი	7	15,00	105,00
4	ყველის ასორტი	7	19,00	133,00
5	ნადუღი სულგუნის ფირფიტებში	7	7,00	49,00
6	მწნილის ასორტი	7	7,00	49,00
7	ზეთისხილის ასორტი	7	6,00	42,00
8	ნელმარილიანი ორაგული	7	22,00	154,00
9	ალაზნის ლოქო ქინძმარში	7	25,00	175,00
10	ბოსტნეულის სალათი გრილზე	7	12,00	84,00
11	მუხრანის ტაბაკა შემწვარი	7	23,00	161,00
12	ტყემალი	7	3,00	21,00
13	ბაჟე	7	8,00	56,00
14	პური შოთის	35	1,50	52,50
15	მჭადი	21	2,00	42,00
16	ხაჭაპური მეგრული	7	13,00	91,00
17	ხბოს ჩაშუშული	7	16,00	112,00
18	სოკო კეცზე	7	13,00	91,00
19	ხბოს მწვადი	7	15,00	105,00
20	ბოსტნეულის მწვადი	7	12,00	84,00
21	კარტოფილი ოჯახურად	7	6,00	42,00
22	ხილის ასორტი სეზონური	5	21,00	105,00
	კერძების სრული ღირებულება			**1 928,50**
1	ლიმონათი ,,ნატახტარი"	15	3,00	45,00
2	წყაროს წყალი ბაკურიანი	10	3,00	30,00
3	ქინძმარაული ბადაგონი ბოთლის	10	35,00	350,00
4	ნაბეღლავი	10	3,00	30,00
	ბარის სრული ღირებულება			**455,00**
	სერვისი	12%		286,02
	საერთო ჯამი			**2669,52**

ვახშამი 35 პერსონაზე საერთო ღირებულებით 2 669.52 (ორი ათას ექვსას სამოცდაცხრა ლარი და 52 თეთრი) ლარი.

ა(ა)იპ ,,მუზეუმების გაერთიანების" გენერალური დირექტორი
ნინო სანადირაძე ----------
შპს ,,თავადური", დირექტორი თენგიზ ფიფია ----------

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

10 ოქტომბერი, 2018 წელი

ა(ა)იპ ,,მუზეუმების გაერთიანების“ მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით შპს ,,თავადური“-სთან.

ა(ა)იპ ,,მუზეუმების გაერთიანების“ გენერალური დირექტორი

ნინო სანადირაძე

გენერალური დირექტორის მოადგილე

ირინე შენგელია